



# პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის სახურავის მომწყობი

---

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად): პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის სახურავის მომწოდებელი

2. დასახელება (ინგლისურად): Profiled sheets and tin roofs constructor

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 3213

5. დასაქმების სფეროს აღწერა:

პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის სახურავის მოწყობის პროფესია გულისხმობს სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით შენობის სახურავის მოწყობას სხვადასხვა პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის მასალით, როგორც მექანიკური ხელსაწყოებით, ასევე შესაბამისი მანქანა-მექანიზმების მეშვეობით.

პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის სახურავის მომწოდებელი ასრულებს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების სახურავების მოწყობის სამუშაოებს; აწარმოებს სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს; უზრუნველყოფს შენობების სახურავების წყალგაუმტარობას, შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით-ზემდგომის მითითებით.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის სახურავის მომწოდებელი მუშაობს ბუნებრივ გარემო პირობებში, ღია ცის ქვეშ, სიმაღლეზე, ზოგჯერ შესაძლებელია მოუწიოს მუშაობა რთულ კლიმატურ პირობებშიც.

ამ ტიპის სპეციალისტი შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის მრავალპროფილიან და მონოპროფილიან სამშენებლო - სარემონტო კომპანიებში, სამშენებლო მასალების, კერძოდ, პროფილირებული და ფურცლოვანი თუნუქის გადასახური მასალების მწარმოებელ კომპანიებში, ასევე სამშენებლო მასალების შემომტან ორგანიზაციებზე შესაბამის სფეროში კონსულტანტის პოზიციაზე.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	1.1. აფასებს სამუშაო გარემოს 1.2. ქმნის ესკიზს/კითხულობს პროექტს /შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით 1.3. განსაზღვრავს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალებს 1.4. განსაზღვრავს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოებსა და მანქანა მექანიზმებს 1.5. შეიმუშავებს სამუშაო გეგმა გრაფიკს
2	ბურულის საფუძველის მოწყობა	2.1. არჩევს საბურულე მასალას 2.2. აწყობს ხის კარკასს შენობის მზიდ კონსტრუქციულ ნაწილზე 2.3. ასრულებს თბოიზოლაციის, ჰიდროიზოლაციისა და ორთქლიზოლაციის სამუშაოებს ბურულის საფუძველში 2.4. ასრულებს მოლარტყვის სამუშაოებს

		2.5. ამონტაჟებს ფასონურ დეტალებს 2.6. აწყობს ბურულის განაკიდს/ბურულის ფერდობის გარე ქვედა ზოლს
3	ბურულის ფენილის მოწყობა	3.1. აწყობს ფენილს მეტალოკრამიტის მასალისგან 3.2. აწყობს ფენილს პროფნასტილის მასალისგან 3.3. აწყობს ფენილს პროფილირებული თუნუქის მასალისგან 3.4. აწყობს ფენილის ფურცლოვანი თუნუქის მასალისგან 3.5. ამოწმებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს
4	სარემონტო სამუშაოების შესრულება	4.1. განსაზღვრავს შესაკეთებელი სახურავის დაზიანების მოცულობასა და ხარისხს 4.2. არჩევს ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდს 4.3. ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოებს ბურულის შესაკეთებლად 4.4. ასრულებს სახურავის დემონტაჟის სამუშაოებს 4.5. ასრულებს სახურავის დემონტაჟის სამუშაოებს
5	დამკვეთთან ურთიერთობა	5.1. განსაზღვრავს დამკვეთის მოთხოვნებს 5.2. ათანხმებს მომსახურების პირობებს 5.3. წარუდგენს დამკვეთს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას 5.4. ათანხმებს დამკვეთთან სამუშაო გეგმა-გრაფიკს 5.5. აფორმებს ხელშეკრულებას 5.6. აფორმებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს სამუშაოს დასრულების შემდეგ
6	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6.1. უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარებას 6.2. იცავს (პირადი და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს 6.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს 6.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს 6.5. იცავს პროფესიულ ეთიკას
7	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	7.1. ეცნობა ინფორმაციას თანამედროვე ტენდენციებზე 7.2. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში 7.3. ესწრება პროფესიულ-თემატურ გამოფენებს 7.4. აახლებს სამუშაოს შესასრულებლად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას 7.5. ეუფლება თანამედროვე ტექნოლოგიებს 7.6. ზრდის თავისი სპეციალიზაციის არეალს

### 9. პიროვნული თვისებები:

- კეთილსინდისიერება
- მოწესრიგებულობა
- მობილიზებულობა
- წინდახედულობა

### 10. მატერიალური რესურსი:

#### ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:

- სიგრძის საზომი ხელსაწყოები (საზომი რულეტი; ლაზერული საზომი)
- ფანქარი
- ფურცელი
- ეკიპირება (სპეცტანსაცმელი)
- სპეციალური ქამარი დამცავი ბაგირით
- ხელთათმანები
- რეზინისძირიანი, დამცავი ფეხსაცმელი

- ჩაქუჩი ხის
- ჩაქუჩი რკინის,
- ნაჯახი
- სახრახნისის კომპლექტი
- მაკრატელი (თუნუქის ფურცლის საჭრელი)
- თარაზო
- ხერხი მექანიკური
- ელ.ხერხი ( დენზე მომუშავე /ზენზინის ძრავზე)
- რკინის ელ საჭრელი (ბალგარკა)
- გონიო
- ლურსმის ამოსადები (გელა)
- ელექტროსახრახნისის საცვლელი ბურღებით
- თუნუქის დამამუშავებელი (შესაბამისი ფორმის მისაცემად) დანადგარი
- ჯალამბარი და ამწე- მექანიზმები

**ბ) მასალა, ნედლეული:**

- პროფილირებული თუნუქი (მეტალოკრამიტი' პროპნასტილი' ტალღოვანი თუნუქი)
- ფურცლოვანი თუნუქი
- ფასონური დეტალები
- სჭვალი (შურიპი)
- დუბელ-ლურსმანი
- ნაჭედი (ჩანალი, სკოპი)
- ლურსმანი
- ხის მასალა

**11. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:**

- სენდვიჩპანელის მასალით სახურავის მოწყობა;
- ონდულის სახურავები;
- ე.წ. მწვანე სახურავები;
- ვიტრაჟული ტიპის (სპეციალური მასალის მინით მოწყობილი) გადახურვები.

**12. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება:	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მუშაობის წესები</li> <li>• სამუშაო ადგილის ორგანიზების წესები</li> <li>• პირობითი აღნიშვნების მნიშვნელობა სამშენებლო ნახაზზე</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოების გამოთვლის მეთოდი</li> <li>• ესკიზის შედგენის წესი</li> <li>• სახურავის მოსაწყობად საჭირო მასალის ტექნიკური</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლიმატური პირობების შესაბამისად სამუშაოს დაგეგმვა</li> <li>• სამუშაო პროცესის ორგანიზება</li> <li>• შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაო ადგილის მოწყობა</li> <li>• მარტივი სამშენებლო მონიშვნების წაკითხვა</li> <li>• სამუშაოს მოცულობის გამოთვლა პროექტის მიხედვით</li> <li>• აზომვითი სამუშაოების განხორციელება</li> <li>• ესკიზის შედგენა არსებული რეალობის შესაბამისად</li> <li>• საჭირო მასალის რაოდენობის გამოთვლა</li> </ul>

		<p>მახასიათებლები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მასალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდი</li> <li>• მასალის დანიშნულება</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების თვისობრივი და ტექნიკური მახასიათებლები</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების დანიშნულება</li> <li>• მექანიზმების ექსპლუატაციის წესები</li> <li>• სამუშაოების სწორი თანმიმდევრობა</li> <li>• გეგმა-გრაფიკის შემადგენელი ელემენტები</li> <li>• გეგმა-გრაფიკის შედგენის წესი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჭირო მასალის შერჩევა</li> <li>• მასალის გამოყენება დანიშნულების შესაბამისად</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების შერჩევა შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების გამოყენება დანიშნულების მიხედვით</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების გამართვა, მოვლა და მომზადება სამუშაოდ</li> <li>• სამუშაოების დაგეგმვა რესურსების გათვალისწინებით</li> <li>• სამუშაოების დაყოფა ეტაპებად</li> <li>• თითოეული ეტაპისთვის შესაბამისი ვადების განსაზღვრა</li> <li>• გეგმა-გრაფიკის დამოუკიდებლად შედგენა</li> <li>• გრაფიკის მიხედვით სამუშაოების შესრულება</li> </ul>
2.	<p><b>ბურულის საფუძველის მოწყობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბურულე მასლის სახეობები</li> <li>• ერთეულზე საჭირო სახარჯი მასალის ნორმები</li> <li>• ბურულის შემადგენელი კომპონენტების დანიშნულება</li> <li>• შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილის ელემენტები;</li> <li>• სახურავის ფენილის სტანდარტული მახასიათებლების შესაბამისად ქანობის საჭირო დახრის კუთხე</li> <li>• სახურავის ძირითადი კარკასის შემადგენელი ელემენტების (დგარი, ნივნივა, ირიბანა, წოლანა, ჯორაკი, მაუერლატი, და ა. შ.) დანიშნულება</li> <li>• სახურავის ძირითადი კარკასის შემადგენელი ელემენტების მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• ორთქლსაიზოლაციო მასალების სახეები</li> <li>• თბოსაიზოლაციო მასალების სახეები</li> <li>• ორთქლსაიზოლაციო ,ჰიდროსაიზოლაციო და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ტიპის საბურულე მასლის გამოყენება დანიშნულების შესაბამისად</li> <li>• მასალის რაციონალურად გამოყენება</li> <li>• ბურულის შემადგენელი კომპონენტების გამოყენება</li> <li>• შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილის აღწერა</li> <li>• სახურავის ქანობის დახრის კუთხის დადგენა სახურავის ფენილისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით</li> <li>• სახურავის ძირითადი კარკასის შემადგენელი ელემენტების (დგარი, ნივნივა, ირიბანა, წოლანა, ჯორაკი, მაუერლატი, და ა. შ.) მოწყობა</li> <li>• ორთლიზოლაციის მოწყობა ბურულის საფუძველში</li> <li>• თბოიზოლაციის მოწყობა ბურულის საფუძველში</li> <li>• ჰიდროიზოლაციის მოწყობა ბურულის საფუძველში</li> <li>• ლარტყის მორგება ფენილის შესაბამისად</li> <li>• ლარტყის ფენილზე დამაგრება</li> <li>• მოლარტყვის განხორციელება ფენილის გათვალისწინებით</li> <li>• ფასონური დეტალების შერჩევა</li> <li>• ფასონური დეტალების დამონტაჟება</li> <li>• შეუძლია ფასონური დეტალების დამაგრება</li> </ul>

		<p>თბოსაიზოლაციო მასალების ტექნიკური მახასიათებლები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსალარტყი მასალა</li> <li>• მოლარტყვის დანიშნულება</li> <li>• მოლარტყვის ტექნოლოგია</li> <li>• გადახურვის მოწყობისთვის საჭირი სამშენებლო ნორმები</li> <li>• ფასონური დეტალების ტიპები</li> <li>• ფასონური დეტალების დამონტაჟების ადგილები</li> <li>• ფასონური დეტალების მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• ბურულის განაკიდს დამაგრების ტექნოლოგია</li> <li>• ბურულის განაკიდის ფორმები</li> <li>• ბურულის განაკიდის დასამაგრებელი ადგილები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბურულის განაკიდის შესაბამის ადგილზე განთავსება</li> <li>• სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით ბურულის განაკიდის/ფერდობის გარე ქვედა ზოლის/ მონტაჟი</li> </ul>
3.	<p><b>ბურულის ფენილის მოწყობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეტალოკრამიტის მასალის სახეები</li> <li>• მეტალოკრამიტის მასალის ფორმები</li> <li>• მეტალოკრამიტის ტექნიკური მახასიათებლები</li> <li>• მეტალოკრამიტით ფენილის მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• მეტალოკრამიტის დამუშავების მეთოდები</li> <li>• მეტალოკრამიტის დასამუშავებელი ხელსაწყო - იარაღები</li> <li>• მეტალოკრამიტის შენახვის წესები</li> <li>• პროფნასტილის მასალის სახეები</li> <li>• პროფნასტილის მასალის ფორმები</li> <li>• პროფნასტილის ტექნიკური მახასიათებლები</li> <li>• პროფნასტილით ფენილის მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• პროფნასტილის დამუშავების მეთოდები</li> <li>• პროფნასტილის დასამუშავებელი ხელსაწყო - იარაღები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეტალოკრამიტის მასალის შერჩევა სახურავის ფორმისა და შესასრულებელი დაკვეთის მიხედვით</li> <li>• მეტალოკრამიტის დაჭრა ზომების მიხედვით</li> <li>• მეტალოკრამიტის დამუშავება ფორმის გათვალისწინებით</li> <li>• მეტალოკრამიტის დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღების შერჩევა</li> <li>• მეტალოკრამიტის დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღების გამოყენება</li> <li>• მეტალოკრამიტით ფენილის მოწყობა;</li> <li>• მეტალოკრამიტის დასაწყობება</li> <li>• პროფნასტილის მასალის შერჩევა სახურავის ფორმისა და შესასრულებელი დაკვეთის მიხედვით</li> <li>• პროფნასტილის დაჭრა ზომების მიხედვით</li> <li>• პროფნასტილის დამუშავება ფორმის გათვალისწინებით</li> <li>• პროფნასტილის დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღების შერჩევა</li> <li>• პროფნასტილის დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღების გამოყენება</li> <li>• პროფნასტილით ფენილის მოწყობა</li> <li>• პროფნასტილის დასაწყობება</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის მასალის</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• პროფნასტილის შენახვის წესები</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის მასალის სახეები;</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის მასალის ფორმები</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის ფენილის მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დამუშავების მეთოდები</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო - იარაღები</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის შენახვის წესები</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის მასალის სახეები</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის ფენილის მოწყობის ტექნოლოგია</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დამუშავების მეთოდები</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო - იარაღები</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის შენახვის წესები</li> <li>• მოწყობილი ფენილის ხარვეზების აღმოჩენის მეთოდი</li> <li>• სხვადასხვა ტიპის მასალით მოწყობილი ფენილის საკვანძო ადგილების შემოწმების მეთოდი</li> </ul>	<p>შერჩევა სახურავის ფორმისა და შესასრულებელი დაკვეთის მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტალღოვანი თუნუქის დაჭრა ზომების მიხედვით</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დამუშავება ფორმის გათვალისწინებით</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო- იარაღების შერჩევა;</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო- იარაღების გამოყენება;</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის ფენილის მოწყობა</li> <li>• ტალღოვანი თუნუქის დასაწყობება</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის მასალის შერჩევა სახურავის ფორმისა და შესასრულებელი დაკვეთის მიხედვით</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დაჭრა ზომების მიხედვით</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო- იარაღების შერჩევა</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დასამუშავებელი ხელსაწყო- იარაღების გამოყენება</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქით ფენილის მოწყობა</li> <li>• ფურცლოვანი თუნუქის დასაწყობება</li> <li>• შესრულებლი სამუშაო დამოუკიდებლად შემოწმება</li> <li>• ხარვეზებია აღმოჩენა ვიზუალური დათვალიერებით</li> <li>• აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით</li> </ul>
4.	<p><b>სარემონტო სამუშაოების შესრულება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სახურავის დაზიანების შეფასების კრიტერიუმები</li> <li>• დაზიანებული ადგილების აღსადგენად გამოსაყენებელი მასალების ტექნიკური მახასიათებლები</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამოთვლის კომპონენტები;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების აღმოფხვრის მეთოდები</li> <li>• ხარვეზების მონიშვნის წესი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანების მოცულობის განსაზღვრა;</li> <li>• დაზიანების სირთულის განსაზღვრა;</li> <li>• დაზიანებული ადგილების აღსადგენად საჭირო მასალების სახეებისა და რაოდენობის განსაზღვრა</li> <li>• ხარვეზების აღმოფხვრის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა</li> <li>• შესაკეთებელი ადგილების მონიშვნა;</li> <li>• ხარვეზების აღმოფხვრის გეგმის შემუშავება</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ხარვეზების აღმოფხვრის სწორი თანმიმდევრობა</li> <li>• სამუშაოს ზედაპირის დამუშავების წესი</li> <li>• ხარვეზების გამოვლენის მეთოდი</li> <li>• მოსამზადებელი სამუშაოების სპეციფიკა</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად გამოსაყენებელი ხელსაწყოების და ინსტრუმენტების დანიშნულება</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად ხელსაწყოების და ინსტრუმენტების გამოყენების წესი</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების აღმოფხვრისათვის საჭირო მასალების დანიშნულება</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების აღმოფხვრისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანიშნულება</li> <li>• სხვადასხვა სახურავის დემონტაჟის სამუშაოების თანმიმდევრობა</li> <li>• სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების თანმიმდევრობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს ზედაპირზე დაზიანებული ფენის მოხსნა</li> <li>• სახურავის შესაკეთებელი არეალის დაფიქსირება;</li> <li>• ხარვეზების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარება;</li> <li>• მოსამზადებელი სამუშაოების სრულად შესრულება;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების აღმოფხვრისათვის საჭირო მასალების შერჩევა</li> <li>• ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების მიზნობრივად შერჩევა</li> <li>• ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების დანიშნულებისამებრ გამოყენება</li> <li>• სახურავის დემონტაჟისა და რეაბილიტაციის სამუშაოების დაგეგმვა;</li> <li>• სახურავის დემონტაჟი</li> <li>• სახურავის რეაბილიტაცია</li> </ul>
5.	დამკვეთთან ურთიერთობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს სპეციფიკა</li> <li>• აქტიური მოსმენის წესი</li> <li>• სამუშაოს შესრულების ტექნოლოგია</li> <li>• სამუშაო ზედაპირის თავისებურებები</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სპეციფიკა</li> <li>• სამუშაოს თითოეული ეტაპისთვის საჭირო ვადა</li> <li>• შრომის უსაფრთხოების ნორმები</li> <li>• გადახურვის მოწყობის ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ელემენტები</li> <li>• ექსელის პროგრამაში მაშაობის წესები</li> <li>• ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობა</li> <li>• თითოეული ტექნოლოგიური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთის მოთხოვნების განსაზღვრა</li> <li>• ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება დამკვეთთან;</li> <li>• შეუძლია დამკვეთსთვის შესასრულებელი სამუშაოს სირთულის დასაბუთება</li> <li>• სამუშაო ზედაპირის შეფასება</li> <li>• სამუშაო ზედაპირის თავისებურებების შესატყვისი მასალების შერჩევა</li> <li>• სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადის განსაზღვრა</li> <li>• შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა</li> <li>• მოწყობის ელემენტარული ხარჯთაღრიცხვის შედგენა;</li> <li>• ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატში გაკეთება</li> <li>• სამუშაო გეგმა-გრაფიკის შედგენა</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად დროის ოპტიმალურად</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>• ციკლისთვის საჭირო დრო</li> <li>• სამუშაო არეალის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებები</li> <li>• შენობის სპეციფიკა</li> <li>• დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უფლებამოვალეობების გადანაწილების ძირითადი პრინციპები</li> <li>• ხელშეკრულების შემადგენელი ძირითადი პუნქტების შინაარსი</li> <li>• მიღება-ჩაბარების აქტის მნიშვნელობა</li> <li>• მიღება -ჩაბარების აქტის ძირითადი პუნქტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განაწილება</li> <li>• მომსახურების ხელშეკრულების გაანალიზება</li> <li>• მომსახურების ხელშეკრულებით გაფორმება</li> <li>• მარტივი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება</li> </ul>
6.	<p><b>საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არტაშანის დადება;</li> <li>• სამედიცინო კომპლექტის შემადგენლობა;</li> <li>• ლაბტის დადების წესი</li> <li>• ორგანიზაციის უსაფრთხოების ინსტრუქციების მოთხოვნები;</li> <li>• სპეცტანსაცმელის დანიშნულება;</li> <li>• ხელსაწყოების და მექანიკური მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების ზოგადი ნორმები;</li> <li>• უბედური შემთხვევებში და ავარიულ სიტუაციებში მოქცევის წესები</li> <li>• სიმაღლეზე მუშაობისთვის საჭირო დამცავი მოწყობილობები.</li> <li>• გარემოსდაცვითი ნორმები;</li> <li>• გარემოს ეკოლოგიური თავისებურებები;</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობის წესები;</li> <li>• პროფესიული ეთიკის ნორმები;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი დახმარების კომპლექტის გამოყენება;</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დაჟეჟილობის დროს;</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სისხლდენის დროს;</li> <li>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დამწვრობის დროს;</li> <li>• პირადი ჰიგიენის დაცვა;</li> <li>• სამუშაო ადგილის ჰიგიენის ნორმების დაცვა;</li> <li>• ჰიგიენური ნორმების დაცვა ხელსაწყო-მექანიზმების გამოყენების დროს.</li> <li>• სამუშაო ადგილზე შესაძლო რისკების აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებებს დროულად გატარება;</li> <li>• ბალანსირების დაცვა ტვირთის გადაზიდვისას;</li> <li>• ხარაჩოზე მუშაობა უსაფრთხოების წესების დაცვით;</li> <li>• დამცავი ღობის მოწყობა;</li> <li>• დამცავი ქამრების გამოყენება;</li> <li>• სიმაღლეზე სამუშაოდ თავდაცვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება;</li> <li>• თავისი საქმიანობის წარმართვა გარემოს დაცვითი ნორმების გათვალისწინებით;</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• თავისი საქმიანობის წარმართვა ეკოლოგიის /მწვანე ნარგავების/ დაცვით;</li> <li>• პასუხისმგებლობის აღება საკუთარ საქმიანობაზე;</li> <li>• ურთიერთობისას პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა;</li> </ul>
7.	<b>პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერული პროგრამები (შესაბამისი);</li> <li>• ახალი ინფორმაციის მოძიების ტექნოლოგიები;</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება;</li> <li>• მუდმივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას;</li> <li>• სიახლეების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობას</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებში მონაწილეობის მიღებისა და დასწრების მნიშვნელობას;</li> <li>• პროფესიულ-თემატური გამოფენების ჩატარების ადგილები და პერიოდულობა.</li> <li>• თანამედროვე ტენდენციების მიხედვით საკუთარი საქმიანობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მნიშვნელობას პროფესიული განვითარებისათვის.</li> <li>• სამუშაოს შესრულების თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობას პროფესიული განვითარებისთვის</li> <li>• სამუშაოს შესრულებაში სერვისის გაუმჯობესების მნიშვნელობას;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება, დამუშავება;</li> <li>• ეფექტური კომუნიკაცია;</li> <li>• ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზება;</li> <li>• ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული გამოცდილების დანერგვა პრაქტიკაში;</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებში მონაწილეობა;</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზება ;</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• მოცემული მომენტისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენის აუცილებლობის განსაზღვრა;</li> <li>• შესაძლებლობების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება;</li> <li>• ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად სპეციალიზაციის არეალის გაზრდა</li> </ul>

**13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:**

№	სახელი და გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	თამაზ თურქიაშვილი	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო,
2	სიმონ ნემსაძე	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

3	ონისე ცეცხლაძე	სამშენებლო კომპანია "21-ე საუკუნე"
4	გიორგი კახიანი	სამშენებლო კომპანია "21-ე საუკუნე"
5	კახი კვატაია	სამშენებლო კომპანია "მშენებელი 2013"
6	გურამ ბარბაქაძე	სამშენებლო კომპანია "მშენებელი 2013"
7	მაია გოგობერიშვილი	შ.პ.ს. "ჯი-დი-ემ" გრუპი
8	ამირან ადეიშვილი	შ.პ.ს. სამშენებლო კორპორაცია "ხიდი" აღმასრულებელი დირექტორი
9	მადონა გოგობერიშვილი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ექსპერტი-ფასილიტატორი
10	თამთა მამულაძე	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დარგის ექსპერტი-ფასილიტატორი

**დასახელება:** რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი

### შეფასების სტანდარტი

#### ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

#### შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

### **ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი**

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

### **ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის**

#### **შეფასების დაწყებამდე გაეცანით:**

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს

- შეფასების კრიტერიუმებს

#### **შეფასების პროცესში:**

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

#### **შეფასების დასრულებისას:**

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

#### **ნაწილი 3. შეფასების პროცედურა**

##### **მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები**

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

#### **ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა**

##### **გამოკითხვა**

### **გამოკითხვის ფორმა:**

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

### **გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:**

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

### **მოპოვებული მტკიცებულებები**

**მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.**

### **თეორიული საგამოცდო თემატიკა:**

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  - ა) ძირითადი და დამხმარე აღჭურვილობის და მასალა ნედლეულის სახეები;
  - ბ) გადახურვის ტექნოლოგია;
  - გ) მონტაჟის წესები;
  - დ) დემონტაჟის წესები;
  - ე) შრომის უსაფრთხოების წესები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

### **ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებით:**

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

### **საგამოცდო გარემო:**

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

### **საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:**

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

### **მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

**საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:**

**დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:**  
რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) ბურულის საფუძვლის მოწყობა;
- ბ) ბურულის ფენილის მოწყობა;
- გ) ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა;
- დ) სარემონტო სამუშაოების შესრულება.

**გაითვალისწინეთ:**

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია**

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები  
შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დასადასტურებელი კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)


შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: